რა არის მოქალაქეობის არქონა?

ვინ არიან მოქალაქეობის არმქონე პირები?

დღესდღეობით, მსოფლიოში მოქალაქეობის არმქონე მილიონობით ადამიანია. მოქალაქეობის არმქონე არის პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო თავის მოქალაქედ არ მიიჩნევს.

რას ნიშნავს მოქალაქეობის არქონა?

მოქალაქეობის არქონა ნიშნავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე წვდომაში შეფერხებას, უფლებების სათანადოდ რეალიზების შეუძლებლობას. მოქალაქეობის არმქონე პირებს დისკრიმინაციისა და სხვა ძირითადი უფლებების დარღვევის მუდმივი რისკის ქვეშ უწევთ ცხოვრება.

რა იწვევს მოქალაქეობის არქონას?

მოქალაქეობის არქონის პრობლემას სახელმწიფოებში სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, მათ შორის, სახელმწიფოების დაშლა და ახალი სახელმწიფოების აღმოცენება, სახელმწიფოების მოქალაქეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განსხვავებული მოწესრიგება, დისკრიმინაციული კანონმდებლობა, მოქალაქეობის დაკარგვა ან ჩამორთმევა, დაბადების ფაქტის არასათანადო რეგისტრაცია და დოკუმენტირება და ა.შ.

რა შედეგები მოჰყვება მოქალაქეობის არქონას?

მოქალაქეობის არმქონე პირებს თავისუფლად ცხოვრების, ბინადრობის ნებართვის მიღების, საკუთრების ფლობისა და განკარგვის, თავისუფლად მიმოსვლისა და მოგზაურობის შესაძლებლობა აქვთ შეზღუდული. მათთვის ასევე გამოწვევაა ჯანდაცვის სერვისებზე, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და დასაქმება, რაც, შესაბამისად, მათ ეკონომიკური და სოციალური დაუცველობის რისკს უქმნის. ყოველივე აღნიშნული, მოქალაქეობის არმქონე პირთა ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?

სახელმწიფო ვალდებულია, მის ტერიტორიაზე მოქალაქეობის არქონის პრობლემის აღმოფხვრაზე იზრუნოს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუქმნას ადამიანის უფლებებით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა.

ვის უნდა მიმართოთ სამართლებრივი დახმარებისთვის?

თუ გესაჭიროება სამართლებრივი დახმარება, მიმართე „უფლებები საქართველოს“:

+995(593)111405 **ა.გახოკიძის ქ. №11ა, თბილისი, 0160, საქართველო** **office@rights.ge**

UNHCR The UN Refugee Agency

მასალა მომზადებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვა და გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

უფლებები საქართველო Rights Georgia